ოქმი:**ო08. 3723237001**

თარიღი:**25/08/2023**

ოქმი № 14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

2023 წელი, 24 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

12.00 -12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, ბ. კილაძე, გ. კილაძე, გ. შილაკაძე, ალ. ბურჭულაძე, დ. დარჩია, ლ. ბიგვავა, პ. სალუქვძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ხ. სურგულაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ხ. სურგულაძე

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი განკარგულების პროექტები : „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“, თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ პროექტებზე გააკეთა კონკრეტული განმარტებები და უპასუხა დასმულ შეკითხვებს, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტების ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარდგენილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი